რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში, ეზოში ქვემოთ.
ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელის-მომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.
„დროების“ ფასი:
მთელის წლისა . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] 8 კაპ.
თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შესამჩნევს დაბეჭდვამდე გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.
ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

წლიური საერთო კრება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“ გადადებულ იქმნა 30 მაისისათვის და მოხდება დილის 10 საათზე სათავად-აზნაურო სკოლის ზალაში, სოლოლაკზე, ბაისადოლოვის სახლებში, სათავად-აზნაურო ბანკის გადასწვრივ.

განიხილება შემდეგი საგნები:

1) მოსმენა და დამტკიცება საზოგადოების წარსულის წლის საქმეთ-წარმოებისა.

2) მოსმენა და დამტკიცება ხარჯთა-აღრიცხვის სიისა მომავალ წლისთვის.

3) ამორჩევა საზოგადოების თავმჯდომარისა და მმართველობის წევრთა. (3—2)

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ-მორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 27 მაისს. ხელმწიფე იმპერატორს სთხოვს ახლად-დაბადებულ პრუსიის პრინცის მონათვლა; ხელმწიფის მაგიერად ბერლინში დ. მ. სერგეი ალექსანდრეს-ძე მიდის.

ხარკოვ-ნიკოლაევის რკინის გზის ნოვი ბუგის სტანციაზე, კუდრიავცევის მამულში 15 ივნისიდამ 1 ივლისამდის იქნება გამოცდა პასტორის სისტემით ციმბირის წყლის აცრისა ცხვრებზედ; ცხვრის პატრონებს სთხოვენ, ამ გამოცდაზე დაესწრონ.

ფინანსთ მინისტრმა არ შეიწყნარა ხარკოვის ერობის შუამდგომლობა, რომ საზღვარ გარეთიდამ მოტანილს ქვა-ნახშირზე ბაჟი შემცირებული იქმნესო.

ხმა არის, რომ ამ შემოდგომაზე სახელმწიფო რჩევა გადახედავს ბეჭდვის შესახებ კანონებსაო; ამ ჟამად კი ეს რჩევა იხილავს უკანონო შვილების შესახებ კანონებსა.

პეტერბურღის ბირჟა, 27 მაისს.

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. | |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 92—75 | |
| მეორესი — — — — | 90—50 | |
| მესამესი — — — — | 91— „ | |
| მეოთხესი — — — | 90—37 | |
| მეხუთესი — — — | 90—25 | |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 88—87 ½ | |
| აღმოსავლეთის მეორე | 88—87 ½ | |
| აღმოსავლეთის მესამე | 88—87 | |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8—12 ½ | |
| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | | |
| პირველი სესხის — — | 213—50 | |
| მეორე სესხის — — | 207— „ | |
| 100 მანეთი ღირს: | | |
| ლონდონი — | 24—12 | პენსი |
| ჰამბურღი — | 206—25 | ცენტი |
| პარიჟი — — | 254—25 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

## დღიური

რადგან ჩვენმა ქუთათურ კორრესპონდენტმა ცოტა დაგვიგვიანა ბანკის კრებების ანგარიშის გზავნა, ამის გამო დღეს მისულ გაზ. „შრომიდამ“ მოგვყავს ცნობა იმაზედ—თუ „რა საზოგადო საქიროების დასაკმაყოფილებლად“ უნდა დაიხარჯოს ამ ბანკის გავლილ წლის ნაღდ მოგებიდამ; ამ ნაღდი მოგებიდამ საზოგადო საქიროების დასაკმაყოფილებლად დარჩენილა სულ ოც-და-ექვს ათასი (26,000) მან., რომლიდამაც, კრების გარდაწყვეტილებით უნდა მიეცეს:

1) სამი ათასი მანეთი დანიშნა გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის ჯამაგირად იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა მარშლად იმისთანა კაცი აირჩიეს რომელსაც უმაღლესი სწავლა მიუღია;

2) თერთმეტი ათას ხუთასი მანეთი ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ხარჯად;

3) ორი ათასი მანეთი ამ სკოლასთან პროგიმნაზიის პირველის კლასსის გასახსნელად სექტემბრის თვიდგან;

4) სამი ათასი მანეთი ამავე სკოლის ღარიბის ყმაწვილების შესაწევნად, რომ მათ სხვა-და-სხვა ოჯახებში ბინა უშოვნონ, სადაც ყმაწვილებზედ ყურადღება ექმნესთ მიქცეული;

5) ორი ათასი მანეთი საზოგადოდ ქუთაისის ღარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოებას;

6) ხუთასი მანეთი ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოებას;

7) ხუთასი მანეთი ქუთაისის საქალებო სკოლას;

8) ათასი მანეთი კავკასიაში წიგნის ცოდნის გამავრცელებელს საზოგადოებას;

9) ათასი მანეთი ამავე საზოგადოებას იმათ საჩუქრად, ვინც სასწავლებლებისათვის სახელმძღვანო წიგნებს შეადგენს ქართულ ენაზედ;

10) ათასი მანათი ღარიბის ქართველის სტუდენტების შესაწევნად და

11) ათას ორასი მანეთი საქალებო გიმნაზიას.

* * *

ტფილისის პირველი (კლასიკურ) გიმნაზიის მთავრობა აცხადებს, რომ, რადგან წელს ამ გიმნაზიის ყველა კლასები სავსეა შაგირდებითაო (700-ზე მეტიაო), ამის გამო, გარდა მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებისა, არსად არ არის ვაკანსიაო; ამ განყოფილებაში კი სულ 25-30 ვაკანსია არისო.

* * *

ყიზლიარისა და შოლკოვის სტანციებს შუა ადიდებულ თერგს გზა გაუფუჭებია და ამის გამო ამ სამი დღის განმავლობაში რუსეთის ფოჩტა არ მოსულა ქალაქში.

* * *

ჩვენ დავესწარით ტფილისის სააზნაურო სკოლის ეგზამენზე და სიამოვნებით ვაცხადებთ, რომ იმ სისტემას სწავლისას (სამშობლო ენაზე ყველა საგნების სწავლას) ჩინებული სანატრელი ნაყოფი მოაქვს შაგირდებისათვის. ამ სკოლის შაგირდები არა გვანან თუთიყუშებს, რომელთაც აზეპირებინებინებენ, უცხო ენაზედ, გაუგებარ სიტყვებს, ლექსებს და საზოგადოთ მთელ საგნებს და წარმოათქმევინებენ; ამათ ყოველ პასუხზე და სიტყვაზე, თვით ლაპარაკის კილოზე და მიხრა-მოხრასა ეტყობათ, კარგათ ესმისთ, რასაც ამბობენ, რომ გაკვეთილის შინაარს გრძნობენ.

მეორე მხარე ამ სასწავლებლისა, რომელმანც ამაზე არა-ნაკლები ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე:

---

«დროების» ფელეტონი, 29 მაისი.

## „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“.

კიდევ გნახამ შენ, ლიახვო, დაგხვდებოდეს კოდოები,
შიგ ბიჭები ბანაობდნენ და უნივსთო გოგოები.

ხალხური.

ვისაც გაზაფხულზე ლიახვის მოგიჟანება უნახავს და შემოდგომაზე მიდამოს არაქათ გამოლევა, სწორედ ამ ანდაზის მთქმელს ცხონებას შეუთვლის.

თემურ-ლენგისა და ჩინგის-ხანისა არ იყოს, რაკი ბრუტსაბძლიდან დაიძვრის, მოქშუის გაცხარებული და თავ-ზარსა სცემს მთელ თავის საბძანებელს. როგორც იმათი გული იყო შეუბრალებლობით ქვა და გაუმაძღროთ სვავი, ისე ლიახვია. მთა, ბარი, ვენახი, ბოსტანი, პარუტყვი, სახლი, წისქვილი მიაქვს ღომხალსავით არეული გაუთავებლად ბატონ მტკვართან. რაც მუშა ხალხს ვერ მოსტაცა, გორელებს გაგლეჯს ხელათ და თაიგულათ დაუქკნობელს ჩააბრის მტკვარს. დათვის ტვინაებს რა ენაღვლებოდათ თავიანთი ქვეყნის შინაგანი საქმე გაეწყოთ რიგიანათ, მთელი ხმელეთის შემოფარგვლას და გადარჯულებას, მაგრამ კაცის გაუმაძღრობა რასაკვირველია, როდესაც ლიახვი უარეს სჩადის.

ხომ მოგეხსენებათ, მთელ საქართველოს წინანდელ დროში გარს ამ გიჟი ლიახვისთანა მტერი ერტყა და მოსვენებას არ აძლევდა. ქართველობაც მუდამ მტრის მომლოდინე მზათ იყო დასახვედრათ. თუ ვინიცობაა, მტერი დაეცემოდა, მაშინ ვაჟკაცობაზე მივარდებოდა საქმე. ხშირათაც ძალიან დამარცხებული მტერი ხელცარიელი ბრუნდებოდა შინა.

დროთა ვითარებისგან, რაკი მტერი თავიდან მოგვაშორეს, იარაღიც ჩამოგვართვეს; ხალხმა იფიქრა: ამაზე უკეთესი დრო განა შეიძლება? მტრისა არ გეშინოდეს, შენ სიცოცხლესა და ქონებას ვერავინ შეეხებოდეს! ადგა, მიანება იარაღს, მუდამ დარაჯობას თავი და მიჰყო ხელი მიწის მუშაობას იმ იმედით, რომ თავის ოფლით მონაყვან ქირნახულს ვერავინ მოჰპარავს, სიცოცხლესაც ვერავინ შეეხება და ნელ-ნელა წარმატებაში წავა (ერთი სიტყვით, მოსკოვში „დასტრახა“)

საუბედუროთ, ეს ოცნება მალე გაგვიფრინდა. რომელ სახელმწიფოშიც ხალხი ჭკუით გახსნილია, გონიერია, მოხერხებული და ქონებაც აქვს, ეს ყველაფერი მისი შედეგია, რომ იმ ხალხის ქონებას, სიცოცხლეს ადვილათ ვერავინ შეეხება. თუ კი გაბრიყვდა ვინმე, მალე პირში ლუკმასაც ამოსდებენ...

დავუბრუნდეთ ჩვენ ქ[illegible]ნახოთ რა არის ჩვენი და[illegible]ლი. სხვა მხარეებზე არას ვიტყვი, თუმც იქიდანაც ხშირად იწერებიან ჩვენისთანა ბედშაობაზე. ჩვენში, ქართლში-კი ხალხის ქონება თუ სიცოცხლე მუდამ ქამად დიდ განსაცდელშია, ასე რომ, თუ ამისთანა მდგომარეობამ დიდ ხანს გასტანა, ხალხი სასოწარკვეთილებაში ჩავარდება, გონებით და ქონებით სრულებით გაგლახავდება. რა არ შეუძლიან იმისთანა მდგომარეობას: ვერ შეგეძლოს საქონლის გაჩენა. თუ გაიჩინე, კაი ბიჭი იქნები, სულ რომ უკანა სდიო ყარაულათ, ორ წელიწადს შეინახავ! ღამე მაინც მოგპარევენ ბოსლიდან ან ბაკიდან, გვერდდთაც რომ უწვე. ფული ან ავეჯი თუ შეამჩნიეს ვისმე, სახლში შეუცვივიან ღამე, თვითონ პატრონს საიქიოს გაისტუმრებენ, ქონებას ბორში ს. მ. ტერ-სტეფანასთან. მინდვრიდან ყანას ძრათ წაიღებენ, სიმინდს იქვე გაარჩევენ (გაურჩეველსაც არა კადრულობენ!).

შაგირდებს ეტყობათ, რომ ისინი მასწავლებლებისა და უფროსებისაგან დაშინებულ-დაჩაგრულები არ არიან; ეტყობათ, რომ უფროსები მამა-შვილურად და მეგობრულად ეპყრობიან ამათ და ამიტომ ესენიც თამამად დგანან, თამამად უგებენ პასუხს, თამამად უცქერიან თვალში მასწავლებელს, რომლის მხოლოდ პატივისცემა აქვთ და ხათრი.

როგორ სიამოვნებით არ უნდა ვუყურებდეთ ჩვენ ამ გვარ წესებს სასწავლებლისას, ჩვენ, რომელთაც კარგათ გვახსოვს ჩვენი დრო, როდესაც ამ 20-25 წლის წინად ვსწავლობდით და როდესაც პირველი ადგილი მაშინდელს პედაგოგიაში (ყმაწვილების აღზრდაში) დატუქსვას, შიშსა და წკეპლას ეჭირა.

ჩვენგან რომ ხეირიანი თაობა არ გამოვიდა, ასში ერთი თუ დარჩა ჩვენგან, მაშინდელ სასწავლებლებში მოსწავლეთაგან გაუფუჭებელი და ბუნება და გონება-დაუჩლუნგებელი,— ამისთვის მადლობა უნდა შევწიროთ უფალს, ესეც გასაკვირველია. მაგიერად, ისიც გასაკვირველი იქნება, თუ ზემოხსენებულ სკოლისთანა სასწავლებლიდამ ხეირიანი მამულის-შვილნი და ნამდვილი კაცური-კაცები არ გამოვიდნენ...

* * *

რაც ზევით ვთქვით სააზნაურო სკოლის თაობაზე, თითქმის იგივე ითქმის სახელოსნო სასწავლებელზედაც, რომელიც ქალაქის ხარჯით არის გამართული და რომელშიაც პირველის წლების განმავალობაში სწავლა აგრეთვე სამშობლო ენაზე მიდის.

მოგეხსენებათ, რომ, ამ სახელოსნო სასწავლებელს გარდა, ქალაქს აქვს კიდევ თავის ხარჯით გამართული შვიდი პირველ-დაწყებითი სკოლა: ორი ქართველებისათვის, სამი სომხებისა და ორიც რუსებისთვის. ამ სკოლებში კი ჯერ-ჯერობით ეგზამენები არ ყოფილა.

* * *

„კავკასიის სამასწავლებლო მაზრის ცირკულიარში“ დაბეჭდილია უმაღლეს მთავრობისაგან დამტკიცებული „წესდება ხონის საოსტატო სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოებისა“.

* * *

მოგვყავს სია იმ საგნებისა, რომელიც კავკასიის სწავლა-განათლების გამგებელის ბ. იანოვსკის განკარგულებით გაგზავნილა ჩვენის მხრით სასწავლებლებიდამ მოსკოვის ხელოვნებისა და ნაწარმოებთა გამოფენაზე:

ა) საკუთრად მზრუნველის კანცელარიიდამ არის გაგზავნილი კავკასიაში სწავლა-განათლების მდგომარეობის ანგარიში 1878 წ.—ვიდრე 1880 წლამდე, მისივე განკარგულებანი (ცირკულიარი) 1875 წ.—1881 წლამდე, კარტები, სურათები და სხვ.;

ბ) სამასწავლო მაზრის რამოდენიმე მასწავლებელთაგან წარდგენილი ნაწერები, რომელთ რიცხვში ვერ იპოვის მკითხველი ქუთაისიდამ ვერასფერს.

გ) ქართულ სომხურ-თათრულს ენაზედ სახმარი სახელმძღვანელოები, რომელნიც მიღებულია სამაზრო მზრუნველისაგან აქაურს სკოლებში;

დ) გიმნაზიების, რეალურ სასწავლებლების, სამოსწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიების, სამოქალაქო და სახელოსნო სასწავლებლების შაგირდების ნაწარმოები, როგორც მაგალითად: სურათების ალბომი, ნახატები, ხელით-ნაწერები, პლანები; ყოველგვარი იარაღების, რომელნიც იხმარებიან ჩვენში. აქაც ქუთაისის გუბერნიის სასწავლებლები გამორიცხული არიან ამ სიიდამ, მაშინ როდესაც მთიულების სკოლებს მონაწილეობის შესანიშნავი ადგილი უჭირავს;

ე) სამკერვლო ხელით-საქნარის ნაწარმოები ჩვენი საქალებო სასწავლებლების მოსწავლეთაგან, ყოველგვარი ნაკერი, ნაქსოვი და ნაქარგი და სხვ.

* * *

გ ზეთ „გოლოსსა“ სწერენ ნოვოჩერკასკიდამ, რომ ჩვენს ქალაქში დიდი ლაპარაკია გუშინდელს 8 მაისის დონის თავად-აზნაურთა ყრილობაზედაო. ამ ყრილობას, სხვათა შორის, გარდაუწყვეტია, იშუამდგომლონ უმაღლესს მთავრობასთან, თავიანთის წინამძღომლის საშუალებით, რომ დონის ბეჭვდას, ე. ი. ჟურნალ-გაზეთებს მიეცეს უფლება უცენზუროთ გამოცემებისა, და ამას გარდა დონის ერობას უფრო ვრცელი უფლება მიენიჭოს თვით-მმართველობისა.

ყველა ეს წინადადებანი შეუტანია კრებაში ნოვოჩერკაზკის ოლქის აზნაურთა წინამძღომელს, რომელსაც წარმოუთქვამს, ამ საგნის შესახებ, მშვენიერი და მეტად გრძნობიანი სიტყვა.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ასხაბადი, 4 მაისი. ახლად შეძენილი პატარა სიმაგრე ასხაბადი, მეტად გაახალისა კავკასიის მთავარ-მმართებლის თავი. დონდუკოვ-კორსაკოვის დიდის ამალით ჩამოსვლამ 26 გასულ აპრილის თვისას.

ასხაბადი ისე დაუხვდა თავ. დონდუკოვ-კორსაკოვს, როგორც კარგ ქალაქს შეჰფერის. და რითი არ არის ასხაბადი ქალაქი? როგორც ზევით მოგახსენეთ, ჯერ გაუშენებელია ასხაბადი, მაგრამ რაც არის, ამასაც ქალაქის ნიშან-წყალი ატყვია. არც სასტუმროები, სისუფთავეზე ნუ გაგვკიცხავთ, არც მაღაზიები, სილარიბეზედ ნურას ბრძანებთ, არც ფოტოგრაფია და ამ გვარები, რანიცა შეადგენენ ქალაქის წყობილებას, არ გვაკლია ჩვენ... მაგრამ ამაებზედ შემდეგ მოვილაპარაკოთ, ეხლა კი თ[...] დონდუკოვის ჩამობრძანებაზედ.

თავადს, ყველაზედ ადრე, სიმაგ[...] წინ, მოედანზედ, დახვდა ახლად [...] დგარი ცხენოსანი ჯარი თეკელებ[...] აქ თავადი ჩამობრძანდა ეკიპაჟი[...] ფეხით ჩაუარა ჯარს, და რამოდენ[...] ხანს ემასლაათა თეკელების მოლ[...] და ხანებს, რომელთაც განუცხადეს მ[...] ბრწყინვალებას, რუსეთის მორჩილ[...] და „აჩ-ფათ-შაჰის (თეთრი მეფის) ე[...] გული სამსახურის სურვილი. თავ[...] მაც განუცხადა მათ სიამოვნება, [...] მიეცა შემთხვევა მათის ხილვისა [...] იმედი, რომ ამის შემდეგ, რაკი იგ[...] ნეს რუსეთის ძლიერება და დაემო[...] ჩილნენ მას, მშვიდობით და ერთ[...] ლადაც ემსახურებიან.

შემდეგ თავადი შებრძანდა თ[...] სიმაგრეში, სადაც დახვდნენ ა[...] ლობრივი მცხოვრებნი: თეკელ[...] ქართველები, სპარსელები, რუსებ[...] სომხები და მიართვეს პურ-მარი[...] აქაც დიუმადლა ხალხს და გაემგზ[...] ლენ. რერბერგის სადგომისაკენ, სა[...] დამზადებული იყო ბინა და სა[...] მიიწვია ყველა, ვისაც რაიმე თხო[...] ექმნებოდა.

მეორე დღეს, დილით თავადმა [...] ხედა ჯარები, მოუწონა წყობილ[...] და ვარჯიშობა, განსაკუთრებით მო[...] წონა თეკელების ცხენოსანი ჯა[...] (ჯიგიტები*), რომელთაც შესანი[...] მსწრაფლად შეუსწავლიათ და [...] წროთვნილან სამხედრო წყობილ[...] ში.

ჯარების დახედვის შემდეგ, თავ[...] ინახულა თეკელების წარმომადგენ[...] ნი, ხანები. ამ წარმომადგენელ[...] შორის მოთავეები იყვნენ ა[...] ელინელი, სეით ნაზარ-იუზბაშ[...]

---

*) ჯიგიტს ეძლევა თვეში 25 მ[...] ამათი უფროსი რუსია, რომელიც [...] ნებას თავის ენაზედ აძლევს მათ, [...] რამ ყოველ შემთხვევისათვის თარჯიმ[...] ცა ჰყავს. ჯიგიტებს, რასაკვირველ[...] თეკურად აცვიათ და თეკელ ცხენებზ[...] სხედან.

---

ვენახის მუშაობა ისე არ უჭირებს კაცს საქმეს, როგორც შემოდგომის ცივ ღამეში მისი ყარაულობა. ვაი იმ ყარაულის ბრალი ვისი ვენახიც სოფელზე მოშორებულია და მარტო უდგია. ქურძენს ვინ ჩივის, ჯერ კარგა მიბექენ, მერე, თუ გაუძალიანდა, ხმალსა და ხანჯალსაც არ დაიშურებენ. ბოლოს ტანისამოსს, ლოგინს მოავლებენ ხელს და მოუსმენ ზინკრისკენ. გალეულობას ხო ძირიან-ფოჩიანათ არავის არჩენენ.

„მიწის მუშა ცის მაცქერალიაო“ ნათქვამია; ჩვენთვის ახლა ეს ანდაზა უნდა გადაკეთდეს ასე: ქართლის მუშა ქურდი ოსების მოვაგლახეა. მოსავალი ბუნების მოვლენას: რთვილს, სეტყვას, ნიაღვარს, კალიას თუ გადარჩა, მუშა მაინც დაღონებულია, ოსის ქურდებს ვერ გადაანარჩუნებს. რამდენიმე სოფლის დასახელება შემიძლიან, რომლებშიაც იშვიათ კომლს შეხვდებით, ამ სამი წლის განმავალობაში, ერთხელ მაინც არ გაექურდოთ. როცა ოსებს მოსწყინდებათ მსუქანი ხორცის ჭამა და ფული უფრო დასჭირდებათ, ამისთვისაც თავს არ შეიწუხებენ: ნაქურდალ საქონელს ან სხვაგან გაჰყიდიან, ან თვითონ პატრონს შეასყიდვინებენ. ქურდივე მივა პატრონთან, საიდუმლოთ გაიხმობს, რომ მოწამეთ არავინ დაესწროს და ეტყვის: „შენი საქონელი ამა-და-ამ ნიშნიანი ამა-და-ამ სოფელშია, თუ ამდენ ფულს მამცემ, ხვალვე შინ მოგივა“. მეტი ღონე არ არის, იღებს ვალს მ მასისხლათ და აძლევს. ვნახოთ, მართლა, დანაკარგი რამდენიმე დღის უკან თითონა ბრუნდება სახლში.

ხალხი ერთ-ხმათ გაიძახის ქურდებს არ სჯიან და იმიტომ ვიქურდებითო. ერთის მხრივ მართალია საზოგადო აზრი. მაგალითად, დავკარგე რამე. უნდა აქეთ ვეცე, იქით ვეცე. ბოლოს მივაგნე ქურდს. ამის თაობაზე ჩადი გორს რამდენჯერმე საჩივლელათ, ხარჯი ხარჯათ მოგივა, დროც მეტი დაგეკარგება; ბოლოს კი გზე და თივა გამოვა. პირ-იქით ვისაც ხელი დაადე, ხდება შენი მოსისხლე მტერი. სახლს, ვენახს, საბძელს ერთ ბნელ ღამეში სულ გადაგიბუგავს, არც მოსაკლავათ დაგზოგამს; ერთი სიტყვით იმისთანა ნავნევს გიზამს, საუკუნოდ დაგახსომდეს სავალალოდ.

ამ ორი წლის წინათ სოფელ მერეთში მცხოვრებს ს. გ—შელს მოჰპარეს ორი კამბეჩი. მთელი ახლომახლო სოფლები გადააქოთა, ვერსად იპოვა. შემდეგ საიდღანაც გამოუჩნდა ქურდისავე ამხანაგი ორი მთხრობლათ. ეს ოსი ამისიც დიდი ხნის მეგობარი და ნათლია იყო.

ადგა ეს ბიჭი ორიოდე სხვა კაცი წაიყვანა და წავიდა. მივიდნენ თუ არა, შეიტყეს, რომ კამბეჩები სახლში ჰყავთ დამალული და სახლის გაშინჯვაც დააპირეს. იმ დროს ოჯახის პატრონმა ერთი მგელსავით დაიყმუვლა და მთელი სოფელი შეიყა[...] როგორ თუ თქვენ სახლის გაჩხრ[...] გინდათო? გამოისვეს და სულ კუ[...] ქვა ასროლინეს!

ამავე კაცს რამდენიმე ხნის შე[...] ახალი საბძელი დაუწვეს, რომელ[...] ოცი თუმნის მეტი იარაღი და [...] ბი ჰქონდა. აქვე მოჰპარეს დ. ფ— ცხენი, ქურდი მალე იპოვნა, უ[...] და რამდენიმე კვირით თუ თვით [...] ჭირეს. შემდეგ გამოშვებისა არ [...] ვლია სამ-ოთხ თვეს, კიდევ ბოსლ[...] დან მოჰპარეს სამი ძროხა, ერთ[...] რი, ერთი ღორი. მამასახლისმა [...] ლობაში დაასახელა საზოგადოთ [...] დენიმე ქურდი ოსი. ათიოდ [...] უკან ვენახის ღობე და საწნახ[...] დაუწვეს. დ. მა—ძე უდგა მოჯ[...] რეთ მ—ს; ვენახში მოასწრო [...] ჯერ სცემა კარგა, მერე შეჰკრ[...] პატრონს მიჰგვარა. ერთი თვის [...] მისცეს ცეცხლი იმ ვენახის [...] და სულ ტკაცა-ტკუცი დააწყე[...]

...აამ-ბეგი თავიანთის ახსახპალებით (მდივანი).

ამათი უმთავრესი და ყურადღების ღირსი თხოვნა იყო, რომ სპარსეთი წყალს არ გვაძლევს, გვიკავებსო და გვიშუამავლეთო. თავ. დონდუკოვმა აღუთქვა მათ დახმარება, შაჰიმ უკვე აღგვითქვაო, რომ არ ინებებს თქვენ შევიწროებას და წყალსაც მოგცემთო.

გამოთხოვებისას თავადმა წარმომადგენელთ დაურიგა რამდენიმე მედალი და-სხვა-და-სხვა ნივთები, სხვათა შორის ერთი ოქროს საათი და ერთიც ძვირფასი ბეჭედი.

საღამოზედ დანიშნული იყო მარულა. მთელი ახხაბადის და ახლომახლო სოფლების, აულების მცხოვრებნი მოეფინნენ მარულისათვის დანიშნულს ტრიალოზედ.

პირველად გამოვიდნენ ოციოდე რუსის ყაზახები, მეორედ თეკელების ჯარიდამ ორმოც-და-ათამდე ცხენოსანი და მესამედაც თეკელები. მანძილი იყო ერთი ვერსი.

რუსის ყაზახებმა მხოლოდ ორჯერ შემოუარეს ამ მანძილს, თეკელებმა კი ოთხჯერ, რადგან, როგორც ამბობენ, თეკეს ცხენს რაც მეტს აჭენებ, თან-და-თან უმატებს სირბილს და გვიან ხურდებაო. პრიზი (ჯილდო) ერთობ მცირე იყო. პირველი სამნი იღებდნენ საჩუქარს, ესე იგი პირველ ორ თეკელმა და ერთმა ყაზახმა ოცდა-ხუთ-ხუთი მანეთი მიიღეს, მეორეთ თითო თუმანი და მესამეებმა მიიღეს ხუთ-ხუთი მანეთი. საჩუქარს აძლევდა თვით თავადი.

მეორე დღეს დილით თავ. დონდუკოვი გამოეთხოვა ახხაბადს.

თავადი გაიქცის ატრეკზე და ჩავა ჩიქიშლიარში.

დღეს ჩვენ ახხაბადში ისევ სიჩუმე სუფევს და ამ სიჩუმეში ეს პატარა სიმაგრე თან-და-თან შენდება და ერთს დროს, უეჭველია, „პატარას" მაგიერ „დიდი" დაერქმევა.

ერთი ბუნების წყალობაც: აღრე უწვიმობას და გოლვას უჩიოდენ თურმე და წელს წვიმაც მოგვევლინა და მწვანეც მოგვიფინა.

დ. მ.

### ქართული ისტორია*)

ქართლის მეფეს ასფაგურს არა ჰყვანდა ძე—ამბობს ქართლის ცხოვრება,—მხოლოდ ასული ერთი. შეკრბნენ ქართლის ერისთავნა მცხეთის ქალაქში, სპასპეტის მაიჟანისას. მაიჟანმა წარმოსთქვა: „...მოიკლა სპარსთაგან დიდი იგი მეფე სომხეთისა, რომელსა ეკიდა სამეფო ჩვენი და აღუღია პირი თვისი სპარსთა მეფესა შთანთქმად ყოვლისა ქვეყნისა ჩვენისა. არავინ არს ჩვენთანა წინაალმდეგომა მისი და დარჩომილა ერი ჩვენი ობლათ. მივაგებოთ წინა მეფესა სპარსთასა მორჩილება და ვითხოვოთ მისგან ძე მისი მეფედ ჩვენდა". ერისთავები დასთანხმდნენ მაიჟანს და გაგზავნეს მოციქული სპარსეთის მეფესთან, რომელმაც შეიწყნარა თხოვნა და მისცა იმათ თავისი შვილი მირიანი. მირიანი იყო შვიდის წლისა, როდესაც ის დაჯდა ქართლის ტახტზე. იმას ჰყვანდა მამა-მძუძეთ მირვანოზი. აღზრდილმა „მსახურებასა შინა კერპთა და ცეცხლისასა" მირიანმა შეამკო „კერპნი და ბომონნი და კეთილად იპყრა ქურუმნი". მირიანმა „შეიყვარა ქართული ენა და ქართველნი". როდესაც იმას მოუკვდა ცოლი ასფაგურის ქალი, იმან შეირთო ნანა ქალი ულუოტრისა საბერძნეთით, პონტით. მირიანს ჰქონდა ხშირი ბრძოლა ჰერეთში და მოვაკანში ხაზარებთან და იმათ მოკავშირი დურძუკებთან და დიდოებთან; მომეტებულათ კი ის ლაშქრობდა „დარუბანდს, რამეთუ მოვიდიან ხაზარნი და მოადგიან დარუბანს, რათამცა წარიღეს და განაღეს კარი ფართო და მუნითმცა იწყეს გასვლა სპარსთა ზედა". მირიანი შევიდა ორმოც წელში, როდესაც აღესრულა იმისი მამა სპარსეთის მეფე ქასრე და ქასრეს მოადგილეთ დაჯდა უმცროსი ძმა მირიანისა ბარტამი. მირიანი ითვისებდა მამის ტახტსა. პირ-მშო შვილი ვარო და საუფლის-წულოთ მებოძნესო ქვეყანანი უცხონი... მრავალ-გზის სისხლითა ჩემითა დამიცავსო სპარსეთი ხაზართაგან, ამისთვის ჩემი არსო საყდარი მამისა ჩემისა". ბარტომი იტყოდა: თუმც პირ-მშო არსო იგი, არამედ ნაშობი არსო მხევლისა ეყოფისო სვედ რომელ მას მიჰხვედრია სამეფონი"... „შეკრიბეს ორთავე სპანი და მიეგებნეს ბრძოლად... აღდგეს მოხუცნი და მარზაპანნი მოციქულათ და ბჭეთ... მათ განბჭეს და მისცეს მეფობა სპარსეთისა ბარტომს; ხოლო მირიანს მისცეს ბარტომისაგან ჯაზირეთი და შამისა ნახევარი და ადარბადაგანი „ესე ყოველი ქართლსა და სომხითსა, რანსა, ჰერეთსა და მოვაკანსა ზედა მოურთეს".

შესანიშნავია შემდეგი ცნობა ქართლის ცხოვრებისა. მირიანის დროს ჩვეულებისამებრ ხაზარნი მოვლენ საბრძოლათ დარუბანდს და მირიანი შედის მთაში საშველად. ამ დროს მეფე ბუთთა ურიცხვის ჯარით შედის საბერძნეთში. ბერძენთ მეფე შემოიკრებს თავის ძალას. მეფე ბუთთა მოითხოვს თავის-თავს ბრძოლას კეისართან და კეისარი ვერ ძალიდებს ამ ბრძოლას. სომხეთის მეფის კოსაროს შვილი ტრდატ, „გოლიათი", რომელიც იზრდებოდა საბერძნეთში და ჯარში იმყოფებოდა, საზოგადო გამორჩევით, შეებმის გუთთა მეფეს და სძლევს იმას. კეისარი დააჯილდოებს ტირდატს იმით, რომ ტრდატს მისცემს თავის ჯარს და გაგზავნის სომხითს, საიდამაც იგი „გამოასხამ სპათა ქრისთავთა მირიანისათა". მირიანი დასტოებს ხაზარს, მოიწვევს სპარსეთით თავის მონათესავე ფეროზს, რომელიც იმას ჯარით შემწეობას მიაგებს. მირიანი შერთავს ფეროზს თავის ქალს და უმზითვებს „ქვეყანასა ხუნანითგან ბარდავამდე, მტკვარსა ორსავე კერძოს" და დაადგენს იქ ერისთავათ. მირიანი ებრძვის ტრდატს. „ოდეს მოირთის ტრდატ ძალი ... ბერძნეთით, მას ვერ ძალ ედვის მირიან წინა დადგომად და მოვლის ტრდატ ქვეყანა მისი. და ოდესმე განძლიერდის მირიან სპარსეთით, ვერ წინა-აღუდგის ტრდატ, მოვლის სომხითი. ესრე დაუცხრომელთ იყვის შფოთი მათ შორის წელთა მრავალთა და არავინ იპოვა ოდეს სპარსთა შორის მარტოთ ბრძოლა ტრდატისა და სახელოვან იქმნა იგი ყოველსა ქვეყანასა და სძლო ყოვლადვე ბრძოლთა მისთა".

ქართლის ცხოვრების თქმით, სპარსეთის მეფის ბარტომის მოადგილე, მირიანის ძმის-წული, რომლის სახელი არ არის მოხსენებული, მიიწვევს მირიანს, „რათა შევკრბეთ და ვარდავლოთ სომხითი და შევიდეთ საბერძნეთად". მირიანი და სპარსეთის მეფე ვაიელიან სომხეთს, სადაც ვერ წაინააღუდგება ტირდატი, შევლენ საბერძნეთს, ვერ წინაალუდგება მეფე კოსტანტინეს, რომ იმან ნათელ-იღოს და წარიძლევანოს ჯვარი, რადგანაც „ყოველნი მოსავნი ქრისტესნი წარძლევანებითა ჯვარისათა სძლევენ მტერთა ზედა". კოსტანტინემ ნათელ-იღო და წარმოიძლევანა სახე ჯვარისა, „ეწყო სპარსთა ურიცხვთა სპითა მცირითა და აოტნა ბანაკი მათი და მოსრა სიმრავლე მათი; ივლტოდეს ორნი ძმანი მცირედითაღა მხედრითა და მიუდგა უკანა კონსტანტინე და შევიდა საზღვართა მათთა. სპარსთა მეფე შევიდა სპარსეთად მეოტი; ხოლო მირიან დაადგა ქართლად და განამაგრა ციხე-ქალაქნი". შლონო-ქმნილი და შეშინებული მირიანი მოითხოვს მშვიდობას. კოსტანტინე სპარსეთის მეფის კვლავ შიშის გამო დაეზავება მირიანს, გამოსთხოვს იმას მძევლათ იმის შვილს ბაქარს და დაამოყვრებს ტირდატს და მირიანს, ესე იგი ტირდატის ქალს სალომეს შეჰრთავს მირიანის შვილს რევს, განუწესებს სა-

*) იხ. „დროება" № 109.

---

ამავე ხანებში ქ. ფ—ძეს მოჰპარეს საქონელი. ეს კი იმათ ჭკუის კაცია, მოასწრო ქურდებს და სულ თავ-პირი დაამტვრია. მაგრამ რა გამოვიდა: ორი კვირა არ გასულა, დაუწვეს საბძელი ბზითა და ჩალით სავსე...

ამისთანა მაგალითების მაცქერალი ხალხი ველარ ბედავს ქურდების დევნას. მართლა, თუ მეტის-მეტი თავ გაწირული კაცი არ არის, მაშინვე თავსანებებს და ამბობს: „ღმერთო, უარესისგან დამიხსენო!"

ამ ქურდობისა, და ავაზაკობისაგან შეშინებული ქართლის სოფლები, უმისოთაც შეჯგუფულნი, უფრო ერთმანეთს ეკვრიან. აქამდის სოფელ გარეთ იმერულათ გამარტოებული რამდენიმე კომლი მშვენიერათ სცხოვრებდა. ისინი ოსებმა ბევრჯელ დააწიოკეს. ახლა შიგ შუა სოფლებში გადასახლდნენ, თუმც ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროსაც თავის ბინა არ დაუტოვიათ! აბა თუ ლიახვზე უარესი კოლოები არ დაგხვევია!

აი ამ ნაირათ გახლავს დაცული ჩვენი ქონება და პირუტყვი. ახლა ვნახოთ თუ კაცის სიცოცხლეც ამავე მდგომარეობაში არ იყოს.

დავით ზედევანისშვილს ფულს ეგულებოდნენ. შეუცვივდნენ ლამე, მოკლეს და რაც უნდოდათ წაიღეს სანდრო ჩერქეზიშვილს მიუხტნენ, ლამე კარში გამოუძახეს, ჰკრეს ტამბაჩები და იქვე გააგორეს. ნიკო ზედევანიშვილს შეუცვივდნენ, იმდენი სცემეს, ერთ კვირას ველარ იცოცხლა.

ოსები რა გავამტყუნოთ, როდესაც შუადღისას. სურამის დიდ ქუჩაზე ვილაც პატრონ დაკარგული, ცხრა მთას იქიდან გადმოხვეწილი სალდათებით დახვდება ს. ქ—შვილს, წააქცევს და წინათვე დამზადებული უწმინდურებით თავსა და პირს გაუგლესს. ვითომ რა გონიათ? ისე ჩაუვლის, როგორც დიდი ზამთრის თოვლი. ქარქია, შენმა მზემ, დაუსჯელად ვისაც ვისი ჯავრი სჭირს, ასე შუადღისას ხალხში გააუპატიუროს. მგონი დედა-მიწის ზურგზე კაცი არ დარჩეს ამ ნაირ ფერ-უმარილ წაუსმელი. და-ვიჯერო მთავრობას ერთი ოცი კაცის გადასახლება გაუჭირდა? ტრაპიზონიდან, ცხრა მთას იქიდან ხალხის აქ დასახლებას ეს შემჩნეული ქურდები მოგვაშორონ? უველა სათითაოთ დაასახელებს იმ ქურდებს, თუ კი ბოლო მოელებათ; თუ არა, ეხლანდელსავით ცივ ზამთარში ორი-სამი თვე თბილ ოთახში გამოამწყვდევენ. ზაზაფხულდება, ტყეს ფოთოლი გამოუვა, ანთავისუფლებენ, რომ დაბურულ ტყეში ნაქურდალი კარგა დამალონ. ზამთარში რამდენიმე ნაქალაქეველი და ზემო ქერელი ქურდი იყო ციხეში დაჭერილი. თოვლი აილო თუ არა, გამოუშვეს. ეხლა დადიან, ყველას ემუქრებიან და საკვეხურათაც აქვსთ ციხეში ჯდომა."—ღმერთმა აასენოს ზაზა ყ.... ოძახიძიან კაცი ყოფილა, სულ ქერის ქასით გაგასუქა."

ბორის თავად-აზნაურობა ურიგოს არ იზამდა, ამ ქურდობის თაობაზედაც ეშუამდგომლათ.

„ვითა ძნელ არის მეგობრისთვის—
მეგობარსა როს მარხვიდეს,
ანუ ხედდეს საშიშ ალაგს,
შემწეობას ვერ აძლევდეს!"

ამაზე საშიშ ალაგს ჩვენი ქვეყანა ალა-მაჰმად-ხანის დროსაც არა ყოფილა: ქურდებისა, პოლოსების და და უსწავლელობის წყალობით. აბა შველა ხომ ჩვენ ხელთ არის, ვისაც რა შეგვიძლიან, ნუ დავზოგავთ ჩვენი საკუთარი სასწავლებლებისთვის. ღვიძლი დედის ერთი „გენაცვა" გვირჩევნია დიდი ნაცვლის ათას „თავშემოგევლეს."

გორი, 2 მაისი.

ზღვარს საქართველოს და სომხეთს შორის. „რომელთა ქვეყანათა მდინარენი დიან სამხრით, მოერთვიან რახსა (არაქსა), ყსე ქვეყანანი ტრდატის დაყარნა, და რომლისა ქვეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან და მიერთვიან მტკვარსა, მირიანის კერძათ და შუა-მდგომელ ექმნა მათ და წარვიდა“.—მეფობდა მირიან ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს და აქვნდა ეგრისიცა ეგრის წყლამდე და მისცა ძესა მისსა რევს საუფლის-წულოთ კახეთი და კუხეთი და დასვა უჯარმოს რევ და ცოლი მისი სალომე, ასული ტრდატისა. ხოლო ფეროზს, სიძესა მირიანისასა, რომელი ზემოთ ვახსენეთ მიცემული მირიანისაგან და იყო მუნ ერისთავათ“.

დიმ. ბაქრაძე.

(გაგრძელება)

# განცხადებანი

—

ქ ა ლ ა ქ ი ს

# გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა, უმაღლესად დამტკიცებულის საქალაქო წესდების 17 და 22 მუხლების ძალითა და ამა წლის 3 მაისს დადგენილის ქალაქის რჩევის გარდაწყვეტილების თანახმად, სთხოვს ბ.ბ. სახლის-მეპატრონეებს, რომელთაც ჰსურსთ მომავალს ქალაქის ამორჩევებში, 1883—1886 ოთხის წლისათვის, მონაწილეობა მიიღონ,—შემოიტანონ ქალაქის კასსაში უეჭველად ამ წლის 1 ივლისამდინ ყველა გარდაუხდელი დასაფასებელი ხარჯი (ნედოიმკები), რაც კი იმათ მამულებზე ითვლება (ОЦѢНОЧНЫЙ СБОРЪ).

ამასთანავე ქალაქის გამგეობა საჭიროდ რაცხს ამ თავითვე გამოაცხადოს, რომ ის პირნი, რომელნიც აღნიშნულვადამდინ არ შემოიტანენ ყველა ხარჯს უნაკლულოდ, რაც იმათ მამულებზე ითვლება, გამორიცხულნი იქნებიან აღმორჩევით სიებიდამ, ე. ი. ამათ უფლება აღარ ექნებათ, რომ მომავალ კენჭის-ყრაში მონაწილეობა მიიღონ. (3—1)

ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა გამოიწვევს მსურველთ, რათა იკისრონ თავის თავზედ იჯარით აღება ცეცხლის საქრობ კამანდისათვის თავლისა და საჯინიბოის ქვითკირისა და შტუკატურის მუშაობისა, მობრძანდნენ ვაჭრობაზედ (ტორგზედ) გამგეობის სადგომში სამშაბათს 1 ივნისს შუადღეზედ.

პლანების, ხარჯთ-აღრიცხვისა და პირობების ნახვა შეიძლება მუდამ დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ. (3—2)

ვაძლევ დღიურად და თვეობით იაფათ მებლიროვან ოთახებს, სახელად

# „ლივადია“

გოლოვინის პროსპექტზედ. (20—2)

ნასწავლი ყმაწვილი კაცი

ეძებს ადგილს მამულის მოსავლელად ანუ პრიკასჩიკისას, ქალაქში ანუ სოფლად.

ადრესი: სასახლის ქუჩა, არწრუნის ქარვასლა, მინასოვის მაღაზიაში, ა. მ. (3—2)

ეჩმიაძინის სომეხ-გრიგორიანის სინოდის შუამავლობით ტფ. პირველ გილდიის ვაჭარს იაგორ მოსეს-ძეს კასუმოვს, მღვ. გევორქ ამულიანცს, თ. გიორგი პავლეს-ძეს არღუთინსკი-დოლგორუკის და ალექსანდრე არტაზოვს მიეცათ ნება-რთვა შესანიშნავ სანაინის მონასტრის განსაახლებლად ფულის მოგროვებისა ნება-ყოფლობით შესაწევარით. ამისთვის სინოდიდამ ზემოხსენებულ პირთა აქვს გარდაცემული კანონიერი წიგნი, რომელშიაც ქალაქის მცხოვრებლებმა უნდა ჩასწერონ თავის ხელით რამდენსაც ამ სულის საქმისათვის შესაწევარს გაიმეტებენ. ამ შესაწევარის მოსაგროვებლად ბ. ტფ. გუბერნატორის ნება-რთვაც არის მიღებული. (3—2)

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

თამარ დედოფალი

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფ ა ს ი ე რ თ ი ა ბ ა ზ ი.

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

კავკასიის სამკურნლო საზოგადოებაში ისყიდება ვაზის ავადმყოფობის „ნაცარის“ წამალი

# გოგირდი

ფასი, ფუთი—2 მან. და 50 კაპ. აქვე ისყიდება აგრეთვე საბერველები ამ გოგირდის ვაზზე მოსაყრელად, თითო თითო მანეთად. (7—5)

კერძო სასწავლებელი კლიუჩარევისა და ზაგუმენაგოსი (ადრინდელი ტერ-აკოფოვისა) ამ თავითვე იღებს ყმაწვილებს, რომელთაც არ იციან ან თუ იციან ცოტათ რუსული ენა, ამ ენაზედ ვარჯიშობისათვის და პირველ დაწყებათი სწავლისათვისაც.

ადრესი სასწავლებლისა: სოლოლაკი, ბაღის ქუჩა № 38 (6—3)

ისყიდება

ტფილისის წიგნის მაღაზიებში ... ლად-გამოსული რუსულს ენაზე წ... ნი.

Грузинскія крестьянскія грамо... крѣпостные и судебные акты, гр... моты и письма грузинскихъ и пе... сидскихъ царственныхъ особъ. (М... теріалы для исторіи древной гр... зіи).

сост. Д. П. Пурцеладзе.

ქუთაისში ისყიდება ჭილაძე... მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში

ი გ ა ვ - ა რ ა კ ნ ი

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუ... გან გადმოქმნილი თ. რ. ერისთვისა.

# ქალაქის გამგეობისაგან

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რ... ქალაქის რჩევამ მომავალ ოთხის წლის 1883-1886 წლის კენჭის-ყრისათვის დაადგინა შემდეგი გარდაწყვეტილება ამა 1882 წლის 3 მაისს.

1). ამა წლის 1 ივლისისათვის ამორჩევითი სიების შედგენა უეჭველად გათავებული იყოს;

2). საზოგადო მამულების მონაწილეთ მიეცესთ უფლება 1 ივლისამდ... გამოუცხადონ ქალაქის უპრავას (გამგეობას), რომ იმათ მონაწილეობა აქვ... საზოგადო მამულში და აგრეთვე ისიც—თუ რამდენი წილი ერგებათ იმათ... მამულში, თუ ეს არ ექმნა გამგეობას წერილით გამოცხადებული, ამ შემ... ხვევაში მამულის ხარჯს (დასაფასებელ გადასახადს) გამგეობა თანასწორ... გაჰყოფს საზოგადო მამულის ყველა მონაწილეებზე, თუ კი იცის ამ მონ... წილეების რიცხვი;

3). ამომრჩეველთ დანდობილ პირებმა, ვექილებმა და აგრეთვე მცირ... წლოვან ამომრჩეველთა აპეკუნებმა ამორჩევით კრების შვიდის დღით წ... უნდა წარუდგინონ ქალაქის თავს: პირველთა (ე. ი. ვექილებმა) გერბის ქ... ღალდზე დაწერილი ვექილობა (შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარუ... ბრძანება, 1876 წ. 26 ნოემბერს, № 10766), რომელიც ნოტარიუსისაგ... უნდა იქნეს შემოწმებული, თუ ქალაქის გამგეობამ არ იცის ხელის-მომწერ... ხელი და მეორეებმა (ე. ი. მცირე-წლოვან ამომრჩეველთა აპეკუნებმა) უნ... წარადგინონ ქალაქის გამგეობაში საპეკუნო დაწესებულების (სასამართლო... განკარგულება, რომ ისინი ნამდვილად დამტკიცებულნი არიან აპეკუნის წო... დებაში. როგორც ვექილები, აგრეთვე აპეკუნები და ამათი მრწმუნებელ... ერთის ნომრით ჩაიწერებიან აღმორჩევით სიებში და ამომრჩეველ კრებ... სხდომის დღეს ამათი სახელები ზალაში იქნება გამოკიდებული;

4). გამგეობისაგან შედგენილი და დამზადებული ქალაქის აღმომრჩ... ველთა სია გამოცხადებული იქმნება 7 სექტემბერს: ადგილობრივ გაზეთე... თან ერთად დაურიგდება დამატებასავით ქალაქის ხელის-მომწერლებს და ამას... გარდა ეს სიები აკრული იქმნება ქალაქის რჩევის ზალაში.

5). ვისაც ამ სიების უკანონოდ შედგენაზედ რაიმე საჩივარი ექნება გ... მოსაცხადებელი, ეს საჩივარი შეუძლიანთ შეიტანონ ქალაქის გამგეობაში 7 ენკენისთვიდამ 22-მდინ; შემდეგ კი გამგეობა ამ სიებს ქალაქის რჩევა... წარუდგენს დასამტკიცებლად.

ყველა ამას ქალაქის გამგეობა იმ განზრახვით აცხადებს, ყველას, ვისაც კი მომავალ კენჭის-ყრასა და ამორჩევებში ხმა აქვთ, თავის დროზე შედ... ლოს განცხადების შეტანა ქალაქის გამგეობაში. (3—1)

# კოლხიდა

ამა 1882 წლის 1 ივნისიდამ

ქ. ფოთში

მიხაილოვის ქუჩაზე, ბულვარის პირ-და-პირ, ხუმარაძის სახლის ზემო ეტაჟში, ადრინდელი პატრონი ალფონ ჟაკოს სასტუმროისა

ახობამე ჰმართავს სასტუმროს

სასტუმრო ყველაფრით შემკობილი და მოწყობილი იქნება როგორც დიდ-კაცებისათვის, აგრეთვე საშუალ წოდების მოგზაურთათვის. ყოველ... ლონის-ძიება იქნება მიღებული სასტუმროის სისუფთავისა და სიფაქიზისათვის.

იმედი მაქვს, როგორც ადრე, პატივცემული საზოგადოება ახლაც არ დააგდებს უყურადღებოდ ჩემს სასტუმროს.

(6—2) სასტუმროს პატრონი ანტონ ახობაძე.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Мая 1882 г. Типографія Меликова ზამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხ...